ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8021667

ნომერი: AR11150436

თარიღი : 03.07.2026

გაცემის თარიღი : 28.07.2026

გაცნობის თარიღი : 28.07.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/220);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ტურძელაძე პ/ნ 61001058093
- ქობულეთი 9 აპრილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 03 ივლისს №AR11150436 განცადებით მომართა ლევან ტურძელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7623727 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 ივლისის №7999718 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, წინამდებარე განცხადებაზე არ იქნა წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 19 ივნისის №287 განკარგულების პირველი პუნქტით („ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები) გათვალისწინებული პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ არის წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 19 ივნისის №287 განკარგულების პირველი პუნქტით („ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები) გათვალისწინებული პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.